(სსმ 01.05.2007 N 61 მუხ. 694)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
340.170.000.22.032.010.290

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის
ბრძანება N 2–54
2007 წლის 25 აპრილი ქ. თბილისი

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის უფლებამოსილი მოხელეების სათანადო მომზადებისათვის საჭირო სასწავლო ღონისძიებების ნუსხის დამტკიცების შესახებ

«სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ» საქართველოს კანონის კანონის 36^1-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის უფლებამოსილი მოხელეების სათანადო მომზადებისათვის საჭირო სასწავლო ღონისძიებების თანდართული ნუსხა.

2. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის უფლებამოსილი მოხელეების სათანადო მომზადებისათვის საჭირო სასწავლო ღონისძიებების განხორციელების ვადად განისაზღვროს 2007 წლის 15 აპრილიდან 2008 წლის 15 ივნისამდე პერიოდი.

3. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ა. ლოთუაშვილს) უზრუნველყოს «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად ბრძანების ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში გატარება და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნება.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს მინისტრის მოადგილემ ლილი ბეგიაშვილმა.

5. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პ. ცისკარიშვილი

დანართი

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის უფლებამოსილი მოხელეების სათანადო მომზადებისათვის საჭირო სასწავლო ღონისძიებების ნუსხა ჩატარების თარიღების მითითებით

კვარტალი	მოდულის N	მოდულის დასახელება	სწავლების მეთოდი	შეფასების მეთოდი
I 01.04.07- -30.06.07	1. 15.04.07- 31.05.07	საქართველოსა და ევროკავშირის სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შესწავლა	ლექციათა კურსი	ტესტირება
	2. 01.06.07- -15.07.07	სურსათის წარმოების ძირითადი ჰიგიენური მოთხოვნები, ზოონოზური დაავადებების, მიკოტოქსინების და სხვ. სურსათის უვნებლობაზე მათი გავლენის ჩათვლით	ლექციათა კურსი, ვიზიტები წარმოებაში	ტესტირება
II 01.07.07- -30.09.07	3. 16.07.07- -31.08.07	ლაბორატორიული გამოცდის როლი სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაში (მ.შ. ნიმუშის აღების წესი, ლაბორატორიული გამოცდის შედეგების გაანალიზება და მათზე რეაგირება)	ლექციათა კურსი, პრაქტიკული სამუშაო	ტესტირება
	4. 01.09.07- 15.10.07	სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის სისტემები (HACCP-ის შიდა კონტროლის და მიკვლევადობის სისტემების ჩათვლით)	ლექციათა კურსი	ტესტირება
III 01.10.07- -15.12.07	5. 16.10.07- -31.12.07	სურსათის წარმოების სრული ჯაჭვის სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის ძირითადი პრინციპები	ლექციათა კურსი, პრაქტიკული სამუშაო	ტესტირება
IV 16.12.07- -29.02.08	6. 01.01.08- -15.03.08	ჰიგიენური მოთხოვნები სხვადასხვა სახეობის სურსათის წარმოებისათვის (მაგ. რძე და რძის პროდუქტები, ხორცი და ხორც-პროდუქტები, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები, საკონსერვო, საკონდიტრო, პური და ფუნთუშეული, თევზის	ლექციათა კურსი, ვიზიტები სურსათის მწარმოებელ	წერითი გამოცდა

		წარმოების, საზოგადოებრივი კვებისა და საცალო ვაჭრობის ობიექტები და სხვ.)	ობიექტებში	
V 01.03.08- -31.05.08	7. 16.03.08- -30.04.08	ძირითადი მიკრობიოლოგიური და ქიმიური საფრთხეები სხვადასხვა სახეობის სურსათისათვის	ლექციათა კურსი, პრაქტიკული სამუშაო	წერითი გამოცდა
	8. 01.05.08- -15.06.08	სურსათის უვნებლობის რისკის მართვის საკითხები (სახელმწიფო კონტროლი, მონიტორინგი, კრიზისული და განსაკუთრებული მდგომარეობის მართვა; რისკის შეფასებისა და რისკის კომუნიკაციების როლი სურსათის უვნებლობაში)	ლექციათა კურსი, პრაქტიკული სამუშაო	შემაჯამებელი წერითი გამოცდა